ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის და

საკითხების საჯარო განხილვის

ოქმი N 46

27 ივნისი, 2025 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

13:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ლევან აბაშიძე

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

თინათინ ნიბლოშვილი

თამარ ჩახვაშვილი

მარიამ ზაქარიაშვილი

სხდომას ასევე ესწრებოდნენ დაინტერესებული პირები:

1. ნათია აზარაშვილი
2. თეკლა გოგსაძე
3. ირაკლი გრიგოლაშვილი
4. მამუკა გოგიტიძე

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ ლევან აბაშიძემ. მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, დავით აღმაშენებლის გამზირთან მდებარე უსახელო სკვერისთვის კომპოზიტორის **ვაჟა აზარაშვილის** სახელის მინიჭების შესახებ
2. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩასთან არსებული ხუთი უსახელო ჩიხისთვის **უნივერსიტეტის I, II, III, IV და V ჩიხების** სახელის მინიჭების შესახებ
3. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის **იოანე ღვთისმეტყველის** სახელის მინიჭების შესახებ
4. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, პეტრე ამირანაშვილისა და 67-ე ქუჩების ერთ დამოუკიდებელ ქუჩად გაერთიანების და წარმოქმნილი ქუჩისთვის მომღერალი **პეტრე ამირანაშვილ**ის სახელის მინიჭების შესახებ
5. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, წინანაურის ქუჩის მონაკვეთისთვის და წინანაურის II ქუჩისთვის **ორთაჭალის I და II გასასვლელის** სახელის მინიჭების შესახებ
6. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კალოუბნის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის გენერალ-მაიორი **ბორის გრიგოლაშვილის** სახელის მინიჭების შესახებ
7. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ლევან მაჭავარიანის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის **ლევან მაჭავარიანის I შესახვევის** სახელის მინიჭების შესახებ
8. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, მიხაკო წერეთლის ქუჩის მონაკვეთისთვის **მორის ფოცხიშვილის I გასასვლელის** სახელის მინიჭების შესახებ
9. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, მიხაკო წერეთელის ქუჩის მონაკვეთისთვის, მიხაკო წერეთლის I ჩიხისთვის და მასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის საზოგადო და სამხედრო მოღვაწის **დავით ვაჩნაძის სახელის** მინიჭების შესახებ;

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ ლევან აბაშიძემ კომისიის წევრებთან და დამსწრე საზოგადოებასთან ერთად განიხილა დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხები

1. **ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, დავით აღმაშენებლის გამზირთან მდებარე უსახელო სკვერისთვის კომპოზიტორის ვაჟა აზარაშვილის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს:

ლევან აბაშიძემ კომისიის ინიციატივასთან დაკავშირებით ისაუბრა, რომელიც დედაქალაქში არსებული ერთ-ერთი გეოგრაფიული ობიექტისთვის კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის სახელის მინიჭებას ეხება. აღნიშნულთან დაკავშირებით, კომისიის თავმჯდომარის ლევან აბაშიძის მიერ შეხვედრა გაიმართა კომპოზიტორის ოჯახის წარმომადგენლებთან.

ერთობლივი კონსულტაციების შედეგად და კომისიის მიერ თემატური კონტექსტის გათვალისწინებით (როგორც ცნობილია, ვაჟა აზარაშვილი დაიბადა ჩუღურეთის რაიონში, წლების მანძილზე კი იყო კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე) სახელდებისთვის შეირჩა დავით აღმაშენებლის გამზირზე, კომპოზიტორთა კავშირთან მდებარე უსახელო სკვერი.

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ კომპოზიტორის ოჯახის წევრები. ნათია აზარაშვილმა მადლობა გადაუხადა კომისიას ვაჟა აზარაშვილის სახელის უკვდავყოფის საქმეში შეტანილი წვლილისთვის.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ჩუღურეთის რაიონში, დავით აღმაშენებლის გამზირთან მდებარე უსახელო სკვერს მიენიჭოს კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის სახელი.

2. **ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩასთან არსებული ხუთი უსახელო ჩიხისთვის უნივერსიტეტის I, II, III, IV და V ჩიხების სახელის მინიჭების შესახებ**
3. **ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის იოანე ღვთისმეტყველის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: ლევან აბაშიძის ინფორმაციით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო დეპარტამენტის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ნუმერაციის უზრუნველყოფის ფარგლებში მიმდინარეობს უნივერსიტეტის ქუჩისა და მიმდებარე ტერიტორიის სისტემური ნუმერაციის პროცესი. დეპარტამენტის მომართვის საფუძველზე კომისიამ დაიწყო ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელდებასთან დაკავშირებით. ელექტრონული რუკების შესწავლით დადგინდა, რომ ქუჩასთან განვითარებული იყო ჩიხები და ერთი დამოუკიდებელი ქუჩა. ინიცირების შემდგომ, ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნების მომენტიდან კომისიამ სამისამართო დეპარტამენტის ჩართულობით სრულად მოახდინა სამისამართო ერთეულებისა და ტერიტორიის სპეციფიკის ანალიზი. დგინდება, რომ ჩიხებად აღწერილი ობიექტების უმრავლესობა ძირითად ქუჩასთან აკავშირებს რამდენიმე ერთეულ საკადასტრო ერთეულს და მათი ნუმერაცია თუ უნივერსიტეტის ქუჩით განხორციელდება არ წარმოშობს დამატებით სირთულეებს, მეტიც- მისამართების მიგნებადობა ბევრად უფრო მარტივად მოხდება, ვიდრე ახალი ობიექტის გაჩენით. თავდაპირველ პროექტში უნივერსიტეტის V ჩიხად დატანილი ობიექტი გეგმარებითი პარამეტრებით შეესაბამება არა ჩიხის, არამედ შესახვევის კატეგორიის ობიექტს. ადგილზე შესწავლის შედეგად ასევე დგინდება, რომ პროექტში ქუჩის სახით წარმოდგენილი ობიექტი თავისი პარამეტრებით არის შესახვევი. ხსენებული გარემოებები გამოკვლეული იქნა საკითხების საჯარო განხილვის ეტაპზე.

კომისიის წევრების მიერ მხარდაჭერილი იქნა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა გარკვეული ცვლილებებით. კერძოდ, წამოყენებული ორი საკითხი გაერთიანდა ერთ აქტად: ქუჩის ტიპის ობიექტი სხდომაზე გავიდეს უნივერსიტეტის II შესახვევად, ხოლო უნივერსიტეტის V ჩიხად აღნიშნული ობიექტი ჩამოყალიბდეს I შესახვევად.

ლევან აბაშიძემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა შემდეგი ფორმულირებით:

ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩასთან არსებულ ორ უსახელო შესახვევს მიენიჭოს **უნივერსიტეტის I და II შესახვევის** სახელი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

4. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, პეტრე ამირანაშვილისა და 67-ე ქუჩების ერთ დამოუკიდებელ ქუჩად გაერთიანების და წარმოქმნილი ქუჩისთვის მომღერალი პეტრე ამირანაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: როგორც ლევან აბაძიძემ აღნიშნა, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას უწყვეტი კომუნიკაცია აქვს იუსტიციის სამინისტროს სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტთან, რათა დედაქალაქში განხორციელდეს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი დამისამართების პროცესი. ერთ-ერთი ასეთი კომუნიკაციის დროს დადგინდა, რომ ნაძალადევის რაიონში, ერთმანეთის მიმდებარედ არსებობს პეტრე ამირანაშვილისა და 67-ე ქუჩები.

კომისიაში დაცული ინფორმაციით დგინდება, რომ თემქის დასახლების 69-ე ქუჩას პეტრე ამირანაშვილის სახელი 1981 წელს მიენიჭა. მიუხედავად იმისა, რო 67-ე ქუჩა წარმადგენდა 69-ე ქუჩის გეგმარებით გაგრძელებას, აღნიშნული ქუჩის სახელის ცვლილება არ განხორციელებულა და დღემდე 67-ე ქუჩის სახელითაა შემორჩენილი. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია გზათა ქსელის მოწესრიგებისა და საჯარო რეესტრის მიერ სწორი ნუმერაციის განსახორციელებლად მიზანშეწონილად მიიჩნევს 67-ე და პეტრე ამირანაშვილის ქუჩების გაერთიანებას და წარმოქმნილი ქუჩისთვის პეტრე ამირანაშვილის სახელის მინიჭებას.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ნაძალადევის რაიონში, პეტრე ამირანაშვილისა და 67-ე ქუჩები გაერთიანდეს ერთ დამოუკიდებელ ქუჩად და წარმოქმნილ ქუჩას მიენიჭოს მომღერალ პეტრე ამირანაშვილის სახელი.

5. **ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, წინანაურის ქუჩის მონაკვეთისთვის და წინანაურის II ქუჩისთვის ორთაჭალის I და II გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: ლევან აბაშიძემ კომისიის წევრებს სამისამართო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი ტაბატაძის წერილი გააცნო, რომელითაც მოთხოვნილია კრწანისის რაიონში მდებარე წინანაურის ქუჩის დაყოფის შესაძლებლობის შეფასება და სახელდება.

ლევან აბაშიძის ინფორმაციით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიას კომუნიკაცია ჰქონდა კრწანისის რაიონის გამგეობასთან. როგორც დგინდება, ხსენებული არეალი მოსაწესრიგებელია. კერძოდ, წინანაურის ქუჩა მოიცავს ერთმანეთთან ქალაქგეგმარებითი კავშირის არმქონე რამდენიმე მონაკვეთს. შეუძლებელია ქუჩის ერთი დასაწყისისა და დასასრულის იდენტიფიცირება. წინანაურის ქუჩის მონაკვეთი და წინანაურის II ქუჩა გეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს ორთაჭალის ქუჩასთან მდებარე გასასვლელებს.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: კრწანისის რაიონში, წინანაურის ქუჩის მონაკვეთს და წინანაურის II ქუჩას მიენიჭოს ორთაჭალის I და II გასასვლელის სახელი.

6. **ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კალოუბნის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის გენერალ-მაიორი ბორის გრიგოლაშვილის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: ლევან აბაშიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომელიც კრწანისის რაიონში

კალოუბნის ქუჩაზე მდებარე სამისამართო ობიექტების სისტემურ ნუმერაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს ეხება. აღნიშნულ ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ნივთების მისამართების შესწავლისას დადგინდა, რომ კალოუბნის ქუჩის მიმდებარედ არსებული გზის რამდენიმე მონაკვეთი არ არის სახელდებული მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

საკითხის შესწავლის პროცესში კომისიამ გაითვალისწინა საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების თავმჯდომარის მამუკა გოგიტიძის წერილი, რომლის საფუძველზეც კომისიამ არაერთი სახელდება განახორციელა და მომავალშიც გაგარძელებს დედაქალაქში არსებული უსახელო გეოგრაფიული ობიექტებისთვის სამხედრო მოღვაწეების სახელების მინიჭების ტრადიციას.

დღევანდელ სხდომაზე კომისია კალოუბნის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის გენერალ-მაიორი ბორის გრიგოლაშვილის სახელის მინიჭების საკითხს განიხილავს. მამუკა გოგიტიძემ, რომელიც კომიიის სხდომას ესწრებოდა, ვრცლად ისაუბრა ბორის გრიგოლაშვილის ბიოგრაფიაზე, მის დამსახურებაზე სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისთვის ბრძოლებში გამოჩენილი თავდადებისთვის. გენერალ-მაიორი ბორის გრიგოლაშვილი სიკვდილის შემდეგ (1993 წელს) დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

კომისიის სხდომას ასევე ესწრებოდა გენერლის შვილი პოლკოვნიკი ირაკლი გრიგოლაშვილი. მან მადლობა გადაუხადა კომისიას გაწეული საქმიანობისთვის. სხდომაზე ერთხმად აღინიშნა, რომ სამხედრო გმირების ღვაწლის დაფასება დიდი პატრიოტიზმია.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეექვსე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, კალოუბნის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს გენერალ-მაიორ ბორის გრიგოლაშვილის სახელი.

7. **ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ლევან მაჭავარიანის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ლევან მაჭავარიანის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: ლევან აბაშიძის ინფორმაციით, მ/წლის აპრილის თვეში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო დეპარტამენტის მიერ განხორციელდა სამგორის რაიონში ლევან მაჭავარიანის ქუჩის სისტემური ნუმერაცია. ნუმერაციის შემდეგ განხორციელებული აღწერის ფარგლებში დადგინდა, რომ ქუჩასთან განაშენიანების პროცესის ხარჯზე წარმოქმნილია უსახელო შესახვევი, რომელიც ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს ლევან მაჭავარიანის ქუჩის უსახელო შესახვევს. ხსენებული გეოგრაფიული ობიექტის სახელდების მიზანშეწონილობაზე არსებობს სამისამართო_ დეპარტამენტსა და სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას შორის შეჯერებული პოზიციები.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეშვიდე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, ლევან მაჭავარიანის ქუჩასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭოს ლევან მაჭავარიანის I შესახვევის სახელი.

8. **ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, მიხაკო წერეთლის ქუჩის მონაკვეთისთვის მორის ფოცხიშვილის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ**
9. **ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, მიხაკო წერეთელის ქუჩის მონაკვეთისთვის, მიხაკო წერეთლის I ჩიხისთვის და მასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის საზოგადო და სამხედრო მოღვაწის დავით ვაჩნაძის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილი მეშვიდე და მერვე საკითხებთან დაკავშირებით იმსჯელეს. ლევან აბაშიძემ აღნიშნა, ხსენებული სახელდებებით მოწესრიგდება გლდანის რაიონში, მიხაკო წერეთლის ქუჩის მიმდებარედ არსებული გზათა ქსელი. როგორც დგინდება, მიხაკო წერეთლის ქუჩის

სახელი მინიჭებული აქვს გეგმარებითი კავშირის არმქონე რამდენიმე მონაკვეთს. დამისამართდება მიხაკო წერეთლის ქუჩის ერთი ძირითადი და ორი დამატებითი ობიექტი, რომლებსაც გეგმარებითად კავშირი არ აქვს მიხაკო წერეთლის ქუჩასთან. კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, ქუჩის ერთ მონაკვეთს, რომელიც რეალურად მორის ფოცხიშვილის ქუჩასთან მდებარეობს, მიენიჭოს მორის ფოცხიშვილის I გასასვლელის სახელი, ხოლო მეორე მონაკვეთი ყალიბდება დამოუკიდებელ ქუჩად და ორ ჩიხად, რომელსც მხარდაჭერის შემთხვევაში, კომისიას სურს ქუჩას საზოგადო და სამხედრო მოღვაწის დავით ვაჩნაძის სახელი მიანიჭოს. გადაწყვეტილება გამართლებული იქნება თემატურადაც, გამომდინარე იქიდან, რომ დავით ვაჩნაძე და მიხაკო წერეთელი თანამოაზრეები და თანამებრძოლები იყვნენ.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მერვე და მეცხრე საკითხები.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: გლდანის რაიონში, მიხაკო წერეთლის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს მორის ფოცხიშვილის I გასასვლელის სახელი, მიხაკო წერეთელის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს საზოგადო და სამხედრო მოღვაწე დავით ვაჩნაძის სახელი, მიხაკო წერეთლის I ჩიხს მიენიჭოს დავით ვაჩნაძის I ჩიხის სახელი, ხოლო მიხაკო წერეთლის ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს დავით ვაჩნაძის II ჩიხის სახელი.

ლევან აბაშიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ლევან აბაშიძე